ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №626115

ნომერი: AR1118124

თარიღი : 21.03.2013

გაცემის თარიღი : 08.04.2013

გაცნობის თარიღი : 30.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ კენჭაძე პ/ნ 01023001053
- გურამიშვილის გამზ.41ვ, ბ.25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.07.10 წლის #1025 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03/21/2013 წელს AR1118124 განაცხადით მომართა თამაზ კენჭაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.72.14.034.587, ავტოტექმომსახურების (საწყობით) შენობა-ნაგებობის (დროებითი ნაგებობა) განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ #01.72.14.034.587 საკადასტრო ერთეულზე 12.07.10 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის

არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია #1025 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი) განსათავსებლად. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ახალი ამონაწერითა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე დგინდება, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ფართობის და კონფიგურაციის უცვლელად.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში შესაძლებელია ავტოტექმომსახურების (საწყობით) განთავსება, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ახალი აქტის გამოცემის ნაცვლად შეიტანოს ცვლილება 12.07.10 წლის #1025 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.07.10 წ. #1025 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882010680996; მომზადების თარიღი: 05.07.10წ. ამონაწერის რეგისტრაციის №882013084437; მომზადების თარიღი: 06.03.2013წ. საკადასტრო კოდი №01.72.14.034.587, ფართობით 4270 კვ.მ.);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.07.10 წ. #1025 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაემატოს – ავტოტექმომსახურება-საწყობით (დროებითი ნაგებობა);
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.07.10 წ. #1025 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: შენიშვნის სახით დაემატოს – საყოფაცხოვრებო ობიექტის განთავსების დროს, განხორციელდეს ობიექტის ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა, რომ მისი მომსახურეობა არ აღიქმებოდეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ქუჩიდან;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.07.10 წ. #1025 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.